საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-16/ნ

2022 წლის 26 თებერვალი

ქ. თბილისი

სტომატოლოგიური სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 25 ნოემბრის №01- 55/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„სტომატოლოგიური სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 25 ნოემბრის №01- 55/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 111128002, 28/11/2011, სარეგისტრაციო კოდი 470230000.22.035.016099) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული „ სტომატოლოგიური მომსახურების მიმწოდებლებისათვის სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის“:

1. მე-3 მუხლს დაემატოს მე-4 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„4. პაციენტის გასინჯვის ფურცელში – ფორმა №IV-220-1/ა (დანართი – №2), დანიშნულებისათვის განკუთვნილ ველში, უნდა აისახოს ინფორმაცია რეცეპტის გაცემის (არსებობის შემთხვევაში) ფაქტის შესახებ, რეცეპტის ნომრის მითითებით, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს „მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) ფორმა №3 ელექტრონული რეცეპტის ბრუნვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 ივლისის №01-29/ნ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს.“.

2. მე-5 მუხლის დაემატოს მე-6 მუხლი შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 6.

,,სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელზე საპილოტე რეჟიმის განმავლობაში, 2022 წლის 1 მარტიდან 2022 წლის 1 აპრილამდე, არ გავრცელდეს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სამედიცინო საქმიანობის ხარისხის კონტროლის, ასევე სხვა ზედამხედველობითი ღონისძიებები და საჯარიმო სანქციები, რაც დაკავშირებულია მე-2 ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ფორმა №3 რეცეპტის სავალდებულოდ ელექტრონულად გამოწერის წესებთან.".

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2022 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი — **ზურაბ აზარაშვილი**